




COVID-19-ის ეკონომიკური შედეგები: პოსტ-კრიზისული პერიოდის გამონვევები და გადაწყვეტის გზები



COVID-19-ის ეკონომიკური შედეგები: პოსტ-კრიზისული პერიოდის გამოწვევები და გადაწყვეტის გზები

ავტორი: მარიამ ჩაჩუა

საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევის დადასტურებიდან დაახლოებით სამი თვე გავიდა. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, ქვეყნის შიგნით ვირუსის გავრცელების შესაკავებლად გატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად საქართველო მსოფლიო რუკაზე იმ მოწინავე ქვეყნებს შორის აღმოჩნდა, რომლებმაც ეფექტურად მოახდინეს ეპიდემიასთან ბრძოლა. მიუხედავად წარმატებისა, დღესდღეობით საქართველოს წინაშე მეორე მნიშვნელოვანი გამოწვევა ვირუსის გავრცელებით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების შერბილებაა, რაც ერთის მხრივ ეფექტური ფისკალური პოლიტიკის, ხოლო მეორეს მხრივ ქვეყნის ეკონომიკური სექტორის ახალ რეალობასთან ადაპტირების საშუალებით არის შესაძლებელი.

გასული ორი წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 5%-ით იზრდებოდა. ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ფაქტორს შიდა მოხმარება (41%), ინვესტიციები კაპიტალში (13.4%) და ექსპორტი (27%) წარმოადგენდა.¹


სამომავლო შემოსავლებთან დაკავშირებული გაურკვეველი მოლოდინები, ტურისტული ნაკადების შემცირება და ეკონომიკური ზრდის შემცირება ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე. აზიის განვითარების ბანკის პროგნოზით 2020 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპი 0%-მდე დაეცემა, რაც სწორედ შიდა მოხმარებისა და ექსპორტის კლებით იქნება განპირობებული.²

ეკონომიკის სექტორები პოსტ-კრიზისულ პერიოდში

საქართველოს ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში ძირითად წილს მომსახურების სექტორი შეადგენს. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ზე მეტი მომსახურების სფეროს ისეთ დარგებზე მოდის, როგორცაა ვაჭრობა (11.7%), საერთაშორისო გადაზიდვები და მგზავრთა გადაყვანის სერვისები (6.9%), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა (7.7%), სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესი (5.4%), გართობასა და დასვენებასთან დაკავშირებული სერვისები (3.2%) და სხვა სახის მომსახურება (27.9%). რაც შეეხება წარმოების სექტორს, აღნიშნული დარგი მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 20%-ს შეადგენს.

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მთლიანი შიდა პროდუქტი დანახარჯების მიხედვით, 2019 წელი, იხ. ბმული: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>

² აზიის განვითარების ბანკი, საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი, იხ. ბმული: <https://www.adb.org/countries/georgia/economy>



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვირუსის გავრცელების ეკონომიკური შედეგები განსხვავდება სექტორების მიხედვით. ყველაზე მძიმე დარტყმა ტურიზმის, ვაჭრობის, საერთაშორისო გადაზიდვებისა და მგზავრთა გადაყვანის სექტორებმა განიცადეს, რომლებიც საქართველოს ეკონომიკის 30%-ს წარმოადგენს. ამასთანავე, აღნიშნული სექტორები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამსაქმებლები არიან, მათ მიერ შექმნილი სამუშაო ადგილების წილი ბიზნეს სექტორში დასაქმების 42%-ს შეადგენს. ტურისტული ნაკადების შემცირება, პირდაპირ აისახება აღნიშნული სექტორების შემოსავლებსა და შესაბამისად, დასაქმებაზეც.

დაბარალეულ სექტორებს შორის აღმოჩნდა უძრავი ქონების, მშენებლობის, მრეწველობის, საფინანსო სექტორიც. მოსახლეობის შემოსავლების შემცირება და მომავალთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ მოსახლეობა უფრო ფრთხილი გახადა ისეთი დანახარჯების გაწევის მიმართ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან პირველადი საჭიროების საქონლისა და მომსახურების კატეგორიას. აღნიშნულ სექტორების წილი საქართველოს ეკონომიკაში 42%-ს აღემატება, ხოლო მათ მიერ შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა ბიზნეს სექტორში დასაქმების 30%-ზე მეტს შეადგენს.

დაზარალებული სექტორები	მოგებული სექტორები
სასტუმროები და რესტორნები	ჯანდაცვა
მგზავრთა გადაყვანის სერვისები	ფარმაცია
ვაჭრობა (გარდა სასურსათო ობიექტებისა)	ელექტრონული კომერცია
გართობა და დასვენება	ინფორმაცია და კომუნიკაცია
მრეწველობა	
უძრავი ქონება	
მშენებლობა	
ფინანსური სერვისები	

წყარო: PMO ანალიტიკა

გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში 80%-ზე მეტი ისეთ სექტორებს უკავიათ, რომლებიც ყველაზე მოწყვლადები აღმოჩნდნენ საგარეო შოკის მიმართ, მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის მოკლევადიანი ღონისძიებები მიმართული იყოს აღნიშნულ სექტორებზე ნეგატიური ეფექტების შესარბილებლად. თუმცა, მეორეს მხრივ ვირუსის ეკონომიკურმა შედეგებმა დაგვანახა, რომ მნიშვნელოვანია ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში ისეთი სექტორების განვითარების მხარდაჭერა, რომლებიც შედარებით ნაკლებად მოწყვლადები არიან ეკონომიკური შოკების მიმართ.


ეკონომიკური ზრდის წახალისება ფისკალური ინსტრუმენტების გამოყენებით

პოსტ-კრიზისულ პერიოდში, ეკონომიკური ზრდის ტემპის კრიზისამდელ ნიშნულზე დასაბრუნებლად ოპტიმალური გამოსავალი შიდა მოთხოვნის სტიმულირებაა, რაც წამახალისებელი ფისკალური პოლიტიკის გატარებით არის შესაძლებელი. წამახალისებელი ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს საგადასახადო შეღავათების დაწესებასა და სახელმწიფო ხარჯების ზრდას ინფრასტრუქტურასა და ქვეყნისთვის პრიორიტეტულ სექტორებში.

საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა ითვალისწინებს ფინანსური და საგადასახადო შეღავათების დაწესებას იმ სექტორებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტად მოწყვლადი აღმოჩნდნენ ვირუსის გავრცელებით გამოწვეული კრიზისის წინაშე. ამ ეტაპზე გათვალისწინებული შეღავათები მოიცავს საშემოსავლო და ქონების გადასახადის გადავადებას ტურისტულ სექტორში მოქმედი კომპანიებისთვის, სესხების რესტრუქტურირებასა და გადავადებას როგორც კერძო კომპანიების ასევე ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის. ამასთანავე, არსებული გეგმა ითვალისწინებს დღგ-ს გაორმაგებული ოდენობით დაბრუნებას ბიზნეს კომპანიებისთვის და 300 მილიონ ლარამდე სახელმწიფო ინვესტიციებს ინფრასტრუქტურულ პროექტებში. საბოლოო ჯამში, ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარების

შედეგად ქვეყნის ეკონომიკაში დამატებით მილიარდ ლარზე მეტი ფინანსური რესურსის გამონთავისუფლების შესაძლებლობას იძლევა, რაც შიდა მოთხოვნის სტიმულირებას შეუწყობს ხელს.³

ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგად ეკონომიკაში გამონთავისუფლებული ფინანსური რესურსის ოდენობა, მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს მთავრობა

ბიზნეს სექტორის ადაპტაცია ახალ რეალობასთან

ახალმა რეალობამ კერძო სექტორი არსებული ბიზნეს მოდელის რადიკალური ცვლილების საჭიროების წინაშე დააყენა. პირველ რიგში, კრიზისის პერიოდმა ნათლად დაგვანახა ელექტრონული სერვისების ყოველდღიურობაში დანერგვის საჭიროება, მეორეს მხრივ მომხმარებლის მოთხოვნის სტრუქტურის ცვლილებამ კომპანიები საფასო პოლიტიკისა და ხარჯების მართვის სტრატეგიის გადახედვის საჭიროების წინაშე დააყენა.

საქსტატის მონაცემებით, საშუალო სამომხმარებლო კალათის სტრუქტურაში დაახლოებით 50% პირველადი საჭიროების საქონელსა და მომსახურებას უკავია, რომელზე მოთხოვნაც კრიზისულ პერიოდში კიდევ უფრო იზრდება. სამომავლო შემოსავლებთან დაკავშირებული გაურკვეველი მოლოდინები, ამცირებს სამომხმარებლო მოთხოვნას ისეთ პროდუქციაზე, როგორცაა გართობა, დასვენება, ელექტროტექნიკა, ავეჯი და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი, რომელიც არ მიეკუთვნება პირველადი საჭიროების საქონლის კატეგორიას. პროდუქტებზე შემცირებულ მოთხოვნას კომპანიები ხარჯების შემცირებისა და საფასო პოლიტიკის ცვლილებით პასუხობენ, რათა შეარბილონ გაყიდვების ვარდნა.

ამასთანავე, ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან საჭიროებად იქცა ელექტრონული გაყიდვების არხებისა და ელექტრონული სერვისების დანერგვა რათა დისტანციური არხებით მოხდეს მომხმარებლისთვის საჭირო პროდუქტისა და

³ საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა, იხ ბმული: http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=288&info_id=75562

მომსახურების მიწოდება. აღნიშნულ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბიზნეს საკონსულტაციო სერვისების ხელმისაწვდომობას, რამდენადაც მცირე და საშუალო ბიზნესის უმეტესობისთვის რთულია ახალ რეალობასთან ადაპტაცია კვალიფიციური დახმარების გარეშე.

საქართველოში, ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურება განვითარების ეტაპზეა, ხოლო ბიზნეს სექტორის მხრიდან მოთხოვნა საკმაოდ დაბალია, რაც სერვისების ღირებულებით არის განპირობებული. ძირითადად საკონსულტაციო დახმარებას ორგანიზაციები დონორების მხარდაჭერით იღებენ, რომელიც მომსახურების ღირებულების სრულ ან ნაწილობრივ დაფინანსებას მოიცავს.

საკონსულტაციო სერვისების ღირებულებას განსაკუთრებით ზრდის დღგ-ს გადასახადი. გამომდინარე იქიდან, რომ ბიზნეს-საკონსულტაციო კომპანიები ძირითადად სერვისების მიწოდებას ახორციელებენ, ხოლო პროდუქციის შესყიდვებს მათ ხარჯებში საკმაოდ მცირე წილი უკავია, ისინი მოკლებულნი არიან დღგ-ს გადასახადის ჩათვლის შესაძლებლობას. შედეგად, აღნიშნული გადასახადი მნიშვნელოვნად ზრდის საკონსულტაციო სერვისების ღირებულებას და ზღუდავს კერძო სექტორის ხელმისაწვდომობას აღნიშნულ მომსახურებაზე.

ბიზნეს საკონსულტაციო სერვისებზე დღგ-ს განაკვეთის შემცირება კერძო სექტორის დახმარების ერთ-ერთ შესაძლო ინსტრუმენტად შეიძლება განვიხილოთ. აღნიშნული შეღავათი მნიშვნელოვნად შეამცირებს საკონსულტაციო სერვისის ღირებულებას და შესაძლებლობას მისცემს კერძო სექტორს ისარგებლოს კვალიფიციური სერვისით, რომელიც დაეხმარება ახალ რეალობასთან ადაპტაციის პროცესში.

შიდა ტურიზმის განვითარების პერსპექტივები


უცხოელი ვიზიტორების ნაკადების შემცირებით გამოწვეული ნეგატიური ეფექტის კომპენსირება შესაძლებელია შიდა ტურიზმის მხარდაჭერით. საქსტატის მონაცემებით, 2019 წელს დაახლოებით 205 ათასი ადამიანი გავიდა საზღვარგარეთ დასვენების მიზნით. საქართველოს საგადაამხდელი ბალანსში, 2019 წელს ქვეყნის გარეთ მოგზაურობაზე დახარჯული თანხების მოცულობა დაახლოებით 657 ათას ლარს შეადგენს. საზღვარგარეთ ვიზიტებში დახარჯული ხარჯების 65% საკვებისა და სხვადასხვა საყიდლებზე მოდის, 25% განთავსებასა და სხვადასხვა გასართობ ღონისძიებებზე, ხოლო დანარჩენი ტრანსპორტსა და სხვა ტიპის მომსახურებაზე⁴.

პოსტ-კრიზისულ პერიოდში ჩაკეტილი საზღვრებისა და შეზღუდული გადაადგილების ფონზე მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იქმნება შიდა ტურიზმის განვითარებისთვის. მოკლევადიან პერიოდში, ქვეყნის შიგნით განხორციელებული ვიზიტები საშუალებას იძლევა მოხდეს უცხოელი ტურისტების კლებით გამოწვეული შემოსავლების კომპენსირება. თუმცა მეორეს მხრივ იქმნება შესაძლებლობა, რომ ქვეყნის მოსახლეობა გადაიქცეს ადგილობრივი კურორტების ლოიალურ მომხმარებლად გრძელვადიან პერიოდში.

⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გამყვანი ტურიზმის სტატისტიკა, საქართველოს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ ვიზიტებზე საშუალოდ დახარჯული თანხის განაწილება, იხ ბმული: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/578/gamqvani-turizmis-statistika>

PMO მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც სხვადასხვა ინდუსტრიაში მოქმედ ორგანიზაციებს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს. ჩვენი მომსახურება მოიცავს: ბაზრის კვლევასა და ანალიზს, კონსულტაციებს ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით, ბაზარზე შესვლისა და ბიზნესის გაფართოების მიზანშეწონილობის კვლევას, ადამიანური რესურსების, მარკეტინგისა და პროდუქტის განვითარების მართვაში დახმარებას. ჩვენ ასევე ვუწევთ მომსახურებას კომპანიებს რისკების მართვისა და ფინანსების მიმართულებით.⁵

www.pmo.ge
(+995 32) 2 37 73 07
რაფაელ ერისთავის ქ. 16
თბილისი, 0179, საქართველო



⁵ მნიშვნელოვანია: მოცემული დოკუმენტი და მასში შეტანილი ყველა იდეა, კონცეფცია, ჩარჩოები და რეკომენდაციები წარმოადგენს PMO Business Consulting-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა, გადაწერა, გავრცელება, გადამუშავება ან დოკუმენტის ნებისმიერი სხვა სახით გამოყენება არ არის დაშვებული მთავარი წყაროს გარეშე – www.pmo-bc.com